ხელშეკრულება №530
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-სათვის ფარმაცევტული პროდუქტების (CPV33600000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია – ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემული დასახვლების, ოდენობისა და ღირებულების ფარმაცევტული პროდუქტები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 308,55 (სამასრვა ლარი და ორმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს, ყველა თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია სანებართვო მოწმობა №000126-ის ფარგლებში მინიჭებული საქმიანობის შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილად ითვლება შ.პ.ს. "ავერსი-ფარმას", II ჯგუფის აფთიაქი – მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 148/2.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2 შემსყიდველის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მარინა მესხი – სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

9.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

11.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცელილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შვსრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"
მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144
ს/კ 205169592
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა 200122900
დირექტორი:

_____/მ. მესხი/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. "ავერსი-ფარმა"
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №148/2
ს/კ 211386695
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა – GE06BG0000000122932100

გენერალური დირექტორი:

_____/ირ. ფურცელაძე/

დანართი №1 მხარეთა შორის 2011 წლის 13 დეკემბერს გაფორმებული
ხელშეკრულება №530-სთვის

№	მედიკამენტების დასახელება	ერთეული	CPV	რაოდენობა	ვარგისიანობის ვადა	მწარმოებელი	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	ანალგინი 0.5გ №10ტ (დარნიცა)	ფირფიტა	33661200	4	01.01.2016	დარნიცა	0.40	1.60
2	გრიპ ჰოთი №12 პაკ.	შეკვრა	33674000	1	01.02.2013	დროგსა	10.40	10.40
3	ეფიზოლი №20ტ	ფირფიტა	33673000	1	01.01.2014	BALKANI	2.20	2.20
4	ვალიდოლი (მედილოლი) №10ტ (დარნ)	ფირფიტა	33620000	4	01.03.2013	დარნიცა	0.32	1.28
5	კეტამო 10 მგ №10ტ	ფირფიტა	33632100	4	01.02.2013	ავერსი	2.00	8.00
6	კორსიზი №10ტ	ფირფიტა	33660000	4	01.07.2013	ავერსი	1.00	4.00
7	ლიკ-ანგინი №16ტ საწ(თაფ/ლიმონ)	ფირფიტა	33670000	6	01.03.2014	ავერსი	4.25	25.50
8	პარაცეტამოლი (პაკოლი) 500 მგ№10ტ	ფირფიტა	33661200	10	01.02.2015	ავერსი	0.35	3.50
9	რაუნატინი 20გ №10ტ	ფირფიტა	33622000	5	01.04.2013	ავერსი	0.40	2.00
10	ტერაფლუ №10 პაკ	შეკვრა	33661200	1	01.09.2012	ნოვარტ	10.88	10.88
11	ციტრამონი №6ტ (დარნიცა)	ფირფიტა	33661200	10	01.03.2014	დარნიცა	0.20	2.00
12	ეთანოლი სამედიცინო 100 მლ(ნტფ) ფლ.	ცალი	33651000	7	01.08.2016	ნატურფარმი	1.35	9.45
13	ეხინასალი 125 მლ სიროფი	ცალი	33674000	2	01.04.2013	ჰერბაპ	6.90	13.80
14	ვალერიანის წყენი 30 მლ ფლ	ცალი	33660000	7	01.05.2014	ბორისო	0.60	4.20
15	ვალოკორდინი 20მლ №1 ფლ	ცალი	33660000	4	01.07.2015	კრეკელ	2.68	10.72
16	ადაპტოლი-ავერსი №300 მგ 20 ტ	ფირფიტა	33660000	1	01.02.2015	aversi	10.35	10.35
17	ამპიცილინი 0.5 გ №10 კაფს (იმპ)	ფირფიტა	33651000	10	01.11.2013	vogen	2.05	20.50
18	ანაპრილინი 0.01ვ №50ტ	ფირფიტა	33620000	1	01.11.2013	aversi	2.85	2.85
19	დიკლოფენროლი 50 მგ №20ტ	ფირფიტა	33632100	2	01.04.2014	aversi	5.25	10.50
20	ვიტამინი „ც" №10ტ. 1000მგ შეშხ.(საქ)	ფირფიტა	33616000	3	01.01.2013	ნეოფარმი	3.74	11.22
21	კაპტოპრილ (კაპტი)25 მგ №50ტ	ფირფიტა	33620000	1	15.02.2013	aversi	4.15	4.15
22	კეტონალი 50მგ №25 კაფს	ფირფიტა	33632100	0.8	01.04.2016	ლეკი	5.18	4.14
23	ლიზლი 30მგ №50ტ	ფირფიტა	33670000	1	01.01.2014	aversi	10.25	10.25
24	მეზიმ ფორტე 3500 ერთ. №20 დრაჟე	ფირფიტა	33610000	2	01.11.2013	B-CHEM	2.40	4.80
25	ნახშირი გააქტ. 0.25ვ №10ტ (კიევი)	ფირფიტა	33610000	10	01.04.2013	ბორშაგ	0.27	2.70
26	ნიმესილი 100მგ/2გ გრან.№30 პაკ	შეკვრა	33632100	0.5	01.01.2014	მენარი	12.60	6.30
27	ომეპრაზოლი 20მგ №50 კაფს	ფირფიტა	33610000	2	01.03.2013	aversi	7.30	14.60
28	სენადექსინი №10 ტ	ფირფიტა	33610000	10	01.11.2012	თბილქი	0.45	4.50
29	სუპრასტინი 25მგ №20 ტ	ფირფიტა	33670000	1	01.01.2016	ეგისი	4.22	4.22
30	ტოპტი 250 მგ №10 კაფს	ფირფიტა	33651000	1	01.05.2013	aversi	18.20	18.20
31	ციტეკი 10მგ №20ტ	ფირფიტა	33651000	0.5	01.02.2014	aversi	7.25	3.625
32	ციპრინოლი 500მგ №10ტ	ფირფიტა	33651000	1	01.02.2016	კა-ერ	5.80	5.80
33	ალთეს სიროფი 125 მლ ფლაკონი	ცალი	33670000	1	01.11.2012	GAME	3.99	3.99
34	კორვალოლი-ნატი 25 მლ ფლაკონი	ცალი	33660000	3	01.06.2013	ნატურფარმი	0.70	2.10
35	ნეროფენი 1000მგ/50მლ 100მლ სუსპ.	ცალი	33670000	2	01.04.2014	რეკიტ	8.55	17.10
36	დექსამეტაზონი 4მგ/1მლ №25ა	შეკვრა	33662100	0.2	01.07.2015	კა-ერ	14.82	2.96
37	დიდროფი 0.05% 10 მლ ცხ.წვეთები	ცალი	33670000	1	01.11.2012	aversi	3.05	3.05
38	ეფერალგანი 150მგ სანთელი №10	შეკვრა	33661200	1	01.02.2013	ბრისტო	3.30	3.30
39	ფინალგონი მალამო 20გ	ცალი	33630000	1	01.05.2013	haupt	7.14	7.14
40	გლუკოზა 5 % 500 მლ ფლ.FRES	ცალი	33621000	2	ვადის გარეშე	ფრეზენ	1.36	2.72
41	რინგერი 500 მლ (ლიქვ)	ცალი	33621000	5	01.10.2013	ლიქვორ	1.45	7.25
42	აქვა მარის 30 მლ ცხ/აეროზოლი	ცალი	33670000	1	01.06.2014	გალენს	10.70	10.70
							ჯამში	308.55

„შემსყიდველი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

დირექტორი:
_____ /ნ. მესხი/

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. "ავერსი-ფარმა"

გენ. დირექტორი:
_____ /ი. ფურცელაძე/

№530

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს დირექტორი

მარინა მესხი ----------

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს დირექტორის მოადგილე

ლაშა ჯინჯიხაძე ----------

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს ფინანსური მენეჯერი

ლაშა სოფრომაძე ----------

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს სამეურნეო საქმეთა კოორდინატორი

გოჩა თოდიძე ----------

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს შესყიდვების კოორდინატორი

გიგა მენაბდიშვილი ----------

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს შესყიდვების კოორდინატორი

ნინო სარაჯიშვილი ----------